ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N77

2022 წლის 25 ნოემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 ნოემბრის N114-11422320121 წერილის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. ზოიძე) თანხმობა ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგ“-ს გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის (ს/კ N20.33.01.084) მეორე სართულზე არსებული 110,6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, შემდგომში სამედიცინო ამბულატორიის განთავსების მიზნით;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი